მომხმარებლის სახელმძღვანელო

Daisy expert

• შეცდომით ამობეჭდილი, ან დაბრუნებული თანხის ქვითრის გაუქმება

როდესაც სალარო აპარატზე ქვითარი არასწორად ამოიბეჭდა, ან მომხმარებელს თანხა დაუბრუნდა და ქვითრის გაუქმებაა საჭირო, rs.ge-ის პორტალზე ივსება სპეციალური განაცხადი, რომელსაც თან ერთვის გასაუქმებელი ქვითარი, ან ქვითრის ასლი. განაცხადზე ხელს აწერს მოლარე-ოპერატორი და მასზე პასუხისმგებელი პირი (მენეჯერი).

• დროის და თარიღის გასწორება

სალარო აპარატზე <u>Daisy expert</u>, დროის ან/და თარიღის გასწორების ოპერაციამდე საჭიროა Z ანგარიშის ამოღება. რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს "MODE", სანამ ეკრანზე არ დაეწერება "PROGR.....", შემდეგ აკრიფეთ პაროლი 9999 და დაადასტურეთ ღილაკით "CLK". ეკრანზე გამოჩნდება წარწერა "PROGR" წერტილების გარეშე. ერთდროულად დააჭირეთ ჯერ "ALT" და შემდეგ "QTY" ღილაკებს ერთდროულად, ეკრანზე დაეწერება "DATE: (მაგ. 010121)" შეიყვანეთ თარიღი (მსგავსი ფორმატით, წერტილების გარეშე) და დააჭირეთ ღილაკს "ST", შემდეგ დაეწერება "TIME: (მაგ.0946) შეიყვანეთ დრო (მსგავსი ფორმატით, წერტილების გარეშე) და დაადასტურეთ ღილაკით "ST". გამოსასვლელად დააჭირეთ ღილაკს "TL"

• სალარო აპარატის ჩართვა

სალარო აპარატის ჩასართავად, კლავიატურის მარცხენა ქვედა კუთხეში რამდენიმე წამის განმავლობაში დააჭირეთ ჩართვის ღილაკს.

• აპარატის სამუშაო რეჟიმში შესვლა

სამუშაო რეჟიმში შესასვლელად რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს "MODE" სანამ არ გამოჩნდება წარწერა [SALE], შემდეგ აკრიფეთ მოლარის შესაბამისი ღილაკი [1] და დააჭირეთ ღილაკს "CLK" ეკრანზე დაეწერება [0,00].

ქვითრის ამოსაბეჭდად აკრიფეთ სასურველი თანხის ოდენობა და დააჭირეთ სექციის ღილაკს (მაგ. [01]). მომხმარებლის ქვითრის ბეჭდვის დასასრულებლად დამატებით დააჭირეთ ღილაკს "TL"

მაგალითი:

7 ლარი და 25 თეთრის ქვითრის ამოსაბეჭდად აკრიფეთ:

[7][,][2][5] ----- თანხა

- [01] ----- სექციის ღილაკი
- [TL] ----- ამობეჭდვა

თუ ქვითარში რამდენიმე თანხის ჩაწერა გსურთ, შეიყვანეთ თანხა, მიუთითეთ შესაბამისი სექცია [01], შემდეგ აკრიფეთ სხვა პროდუქტის თანხა, კვლავ სექციის ღილაკი [01] და ა.შ. საბოლოო ქვითრის ამოსაბეჭდად დააჭირეთ ღილაკს "TL"

• არასწორად შეყვანილი თანხის კორექტირება ან/და ქვითრის ანულირება

არასწორად შეყვანილი თანხის წასაშლელად დააჭირეთ ღილაკს "C"

თუ თანხა არასწორად შეიყვანეთ და სექციაც მიუთითეთ, მაგრამ ქვითარი ჯერ არ დაგიბეჭდავთ, დააჭირეთ ღილაკს "VD" და თანხა ანულირდება. გაუქმებულ თანხაზე ქვითრის ამოსაბეჭდად აკრიფეთ ღილაკი "TL".

Z ანგარიშის ამობეჭდვა

*ყოველი სამუშაო დღის ბოლოს სავალდებულოა ცვლის დახურვა (Z ანგარიშის ამოღება).

Z ანგარიშის ამოსაბეჭდად რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს "MODE" , სანამ ეკრანზე არ დაეწერება [Z REPORT.....] , შემდეგ აკრიფეთ 9999, დააჭირეთ ღილაკს "CLK" და ბოლოს ღილაკს "TL".

• გათიშული სალარო აპარატის გააქტიურება

ეკრანის ზედა მხარეს X-ის გამოჩენის შემდეგ რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს "MODE", სანამ არ გამოჩნდება წარწერა "PROGR….". შეიყვანეთ პაროლი "9999" და დაადასტურეთ "CLK" ღილაკით. აკრიფეთ 1853 და დააჭირეთ ღილაკს "VD". დაელოდეთ, თუ აქტივაცია წარმატებით დასრულდა, ეკრანზე დაეწერება "SUCCESSFUL". ამის შემდეგ შეგიძლიათ განაგრძოთ მუშაობა.

* თუ დაწერა "COMMUN.ERR.GRA" ან/და "SEND.GRA.SERVER" დააჭირეთ "C" ღილაკს და განმეორებით სცადეთ გადატვირთვა.

• დეტალური ქვითრების ბეჭდვა თარიღის (თარიღების) მიხედვით

ამ ოპერაციის განსახორციელებლად დააჭირეთ MODE ღილაკს იმდენჯერ, სანამ ეკრანზე არ დაიწერება [X REPORT] აკრიფეთ პაროლი 9999 და დაადასტურეთ ღილაკით "CLK". ეკრანზე გამოჩნდება წარწერა [X REPORT] წერტილების გარეშე. ერთდროულად დააჭირეთ ჯერ "ALT" და "TL"- ღილაკებს ერთდროულად, ეკრანზე გამოჩნდება წარწერა [EJT PRINT]. აკრიფეთ ციფრი 3 და დაადასტურეთ ღილაკით "ST". ეკრანზე გამოჩნდება წარწერა საწყისი, ჩაწერეთ სასურველი თარიღი [მაგ: 010112] და დააჭირეთ ღილაკს "QTY", ეკრანზე გამოჩნდება წარწერა საბოლოო, ჩაწერეთ თქვენთვის სასურველი თარიღი [მაგ: 010112] და დააჭირეთ ღილაკს "VD".

Z რეპორტში ცალკე გამოყოფილი დღგ-ის გამოთვლის ფუნქციის მოხსნის ინსტრუქცია

ოპერაციის განხორციელებამდე საჭიროა Z ანგარიშის ამოღება. დააჭირეთ MODE ღილაკს რამდენჯერმე, სანამ ეკრანზე "PROGR " არ დაეწერება. აკრიფეთ პაროლი 9999 და დაადასტურეთ CLK ღილაკით. დაეწერება "PROGR . დააჭირეთ QTY -ს შემდეგ ST ღილაკს დაეწერება 18.00. თუ გნებავთ დღგ-ს წაშლა აკრიფეთ 0.00 დააჭირეთ ღილაკს ST. საბოლოოდ დასადასტურებლად TL-ს.

• თანხის შეზღუდვა

ოპერაციის განხორციელებამდე საჭიროა Z ანგარიშის ამოღება. "MODE" ღილაკის საშუალებით მოძებნეთ PROGR. ჩაწერეთ 9999 და CLK, შემდეგ დააჭირეთ სექციის ღილაკს [01], 2 ჯერ დააჭირეთ ღილაკს "ST" აკრიფეთ სასურველი ციფრი (*) და შემდეგ დააჭირეთ "ST" ღილაკს 2ჯერ, კვლავ აკრიფეთ სასურველი ციფრი (*) და დააჭირეთ ST ღილაკს 2-ჯერ, ასეთი კომბინაციებით იზღუდება სექციები: 01, 02, 03, 04,,,,, საბოლოოდ დაადასტურეთ "TL" ღილაკით.

ციფრი – 3-ის მითითების შემთხვევაში იზღუდება 10 ლარამდე;

ციფრი – 4-ის მითითების შემთხვევაში იზღუდება 100 ლარამდე;

ციფრი – 5-ის მითითების შემთხვევაში იზღუდება 1000 ლარამდე;

ციფრი – 6-ის მითითების შემთხვევაში იზღუდება 10000 ლარამდე;

• ქვითრიდან ლოგოს მოხსნა

ოპერაციის განხორციელებამდე საჭიროა Z ანგარიშის ამოღება. დააჭირეთ MODE ღილაკს იმდენჯერ, ვიდრე ეკრანზე არ დაიწერება PROGR აკრიფეთ პაროლი 9999 და დაადასტურეთ ღილაკით CLK. ეკრანზე გამოჩნდება წარწერა PROGR წერტილების გარეშე. აკრიფეთ რიცხვი 27დააჭირეთ ღილაკს PAY, შემდეგ აკრიფეთ ციფრი 0 დააჭირეთ ST ღილაკს, საბოლოოდ დააჭირეთ ღილაკს TL.

• სალარო აპარატის გადატვირთვა, საგადასახდო პორტალზე მონაცემთა ასახვა

ოპერაციის განსახორციელებლად დააჭირეთ "MODE" ღილაკს რამდენჯერმე, სანამ ეკრანზე "PROGR " არ დაეწერება. შემდეგ აკრიფეთ – 9999 და დააჭირეთ CLK ღილაკს. დაეწერება " PROGR " აკრიფეთ 1853 და დააჭირეთ ღილაკს VD. დაელოდეთ! წარმატებით მონაცემების გადაგზავნის შემთხვევაში ეკრანზე დაეწერება "SUCCESSFUL".

* თუ დაწერა "COMMUN.ERR.GRA" ან/და "SEND.GRA.SERVER" დააჭირეთ "C" ღილაკს და განმეორებით სცადეთ გადატვირთვა.

• ქვითრის დუბლიკატი

ქვითრის დუბლიკატის ამოსაბეჭდად სალარო აპარატის რეჟიმში (როდესაც ეკრანზე წერია 0.00) აკრიფეთ 99 და დააჭირეთ ღილაკს TL, ეკრანზე დაეწერება ბოლოს გამოწერილი ქვითრის ნომერი, აკრიფეთ სასურველი ქვითრის (მაგ: 012565) ნომერი, რომლის დუბლიკატის ამობეჭდვაც გნებავთ და დააჭირეთ "ST" ღილაკს.

ქვითრის ნომრის გასაგებად იხელმძღვანელეთ დეტალური ქვითრის ამობეჭდვის ინსტრუქციით.

Z ანგარიშის დუბლიკატი

დააჭირეთ MODE ღილაკს რამდენჯერმე, სანამ ეკრანზე არ დაიწერება [Z REPORT] აკრიფეთ კოდი 9999 და დაადასტურეთ ღილაკით "CLK". ეკრანზე გაჩნდება წარწერა [Z REPORT] წერტილების გარეშე. დააჭირეთ ჯერ "ALT" და შემდეგ TL ღილაკებს ერთდროულად. ეკრანზე გამოჩნდება წარწერა [EJT PRINT]. აკრიფეთ რიცხვი 13 და დაადასტურეთ ღილაკით "ST". ეკრანზე გამოჩნდება წარწერა საწყისი, ჩაწერეთ სასურველი თარიღი [მაგ:30 01 16] და დააჭირეთ ღილაკს "QTY", ეკრანზე გამოჩნდება წარწერა საბოლოო, ჩაწერეთ თქვენთვის სასურველი თარიღი [მაგ: 30 01 16] და დააჭირეთ ღილაკს "VD".

• შენიშვნა

იმ შემთხვევაში თუ სალარო აპარატის ეკრანზე დაეწერა:

"NO PAPER" - ნიშნავს, რომ სალარო აპარატში ქაღალდი დამთავრდა, ან ქაღალდის ხუფი აფარია არასწორად

"overflow 24h/error 82" - ამობეჭდეთ Z ანგარიში

"INCORRECT KEY" - დააჭირეთ "C" და შემდეგ "TL" ღილაკს